

**გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულების
სტანდარტული პირობები**

ქ.თბილისი

“—“————— 2017 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ (შემდგომში „ქსელის წესები“) შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულება წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამოიზნულ დოკუმენტს (ტიპიურ სახელშეკრულებო ფორმულარს), რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ გადაცემის ლიცენზიატი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებელი.

1.3. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც გათვალისწინებულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქსელის წესებით“, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მიღებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებლისთვის გადამცემ ქსელზე მიერთება, წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული პროცედურებისა და წესის შესაბამისად.

2.2. მხარეები უზრუნველყოფენ მიერთებისათვის საჭირო პროექტ(ებ)ისა და სამუშაოების შესრულებას ტექნიკური პირობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

2.3. ტექნიკური პირობა დანართ №1-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ დროულად იქნება გადახდილი მიერთების მეორე ეტაპის საფასური, რომელიც დანართის სახით დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას (დანართი №2). იმ შემთხვევაში, თუ მიერთების მეორე ეტაპის საფასური „ქსელის წესებით“ პირდაპირ არ არის განსაზღვრული, დანართ №2-ს წარმოადგენს მიერთების მეორე ეტაპის საფასურის საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა.

მუხლი 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მხარეები პასუხისმგებელნი არიან ქსელის წესებით, მიერთების ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, მიერთების სტანდარტული ვარიანტიდან გამომდინარე, მხარეები ახორციელებენ მათ მიერ ნაკისრ სამუშაოებს.

3.3. ტექნიკური პროექტი და სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი, „ქსელის წესებითა“ და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმების შემდეგ, დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც დანართი №3 (ტექნიკური პროექტი) და დანართი №4 (სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი). დანართი №3 და დანართი №4 წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

3.4. მხარეები უზრუნველყოფენ მათ მიერ ასაშენებელი (გასაყვანი, მოსაწყობი) ობიექტების (ნაგებობების, დანადგარების) პროექტირებასა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ნებართვების აღებას.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულებითა და ტექნიკური პირობით განსაზღვრული ნებისმიერი პროექტი, რომელიც მომზადებული იქნება მაძიებლის მიერ, შესათანხმებლად წარედგინება გადაცემის ლიცენზიატს. გადაცემის ლიცენზიატი ამოწმებს პროექტის შესაბამისობას გაცემულ ტექნიკურ პირობებთან და ქსელის წესების მოთხოვნებთან.

3.6. მხარეები პასუხისმგებელნი არიან მოქმედი კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე.

3.7. მხარეები პასუხისმგებლები არიან (ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად) მოაწყონ და სრულ წესრიგში იქონიონ კუთვნილი ელექტრული ქსელი და შესაბამისი ელექტრომომწოდებლობა-დანადგარები, რათა დროულად იქნეს უზრუნველყოფილი მაძიებლის ელექტრომომწოდებლობა-დანადგარების (ობიექტის) მიერთება გადამცემ ქსელზე.

3.8. „ქსელის წესებით“, ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3.9. მხარეები ვალდებული არიან წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღეში მიაწოდონ ერთმანეთს ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ასეთი მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში.

3.10. გადაცემის ლიცენზიატის მიერ, საკუთარი ბრალეულობით მიერთების სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, მიერთების საფასურის მე-2 ეტაპის 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (გარდა ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა). პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა გაგრძელდეს ვალდებულების შესრულებამდე.

მუხლი 4. ტექნიკური პროექტის და სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შეთანხმება

4.1. მხარეები ვალდებულნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის გადამცემ ქსელზე მიერთების ტექნიკური პროექტის წარდგენის ვადა. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ხელმოწერიდან

.... ვადაში მიერთების მაძიებელი წარუდგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მის მიერ ასაშენებელი ქსელის ტექნიკურ პროექტს.

4.2. ტექნიკური პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

4.3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ქსელის წესების მე-12 მუხლში განსაზღვრულ ვადებში და ამავე მუხლით განსაზღვრული წესით შეითანხმოს ტექნიკური პროექტი.

4.4. მხარეთა შორის შეთანხმებული ტექნიკური პროექტის საფუძველზე მხარეები ათანხმებენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს. შეთანხმებული გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას დანართად №4.

მუხლი 5. მიერთების საფასური და გადახდის პირობები

5.1. გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებელი ვალდებულია გადაცემის ლიცენზიატს გადაუხადოს მიერთების საფასური ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები შეთანხმდნენ საფასურის გადახდის სხვა პირობებზე (განწილვადება). ასეთ შემთხვევაში მათ შორის უნდა დაიდოს ცალკე შეთანხმება.

5.2. მიერთების საფასურის გადახდამდე (ან საფასურის განწილვადების თაობაზე შეთანხმების მიღწევამდე) გადამცემის ლიცენზიატს უფლება აქვს, არ დაიწყოს მიერთების სამუშაოები.

5.3. თუ მიერთების მაძიებელმა გადამცემ ქსელზე მიერთების თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის ვადაში არ გადაიხადა მიერთების საფასური - მხარეები (მიერთების მაძიებელი, ასევე გადამცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატები) უნდა შეთანხმდნენ დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს 15 სამუშაო დღეზე ნაკლები. შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 5.3 პუნქტში მითითებული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ მიერთების საფასური მაინც არ იქნა გადახდილი და არც განწილვადებაზე შეთანხმება იქნა მიღწეული - წინამდებარე ხელშეკრულება მის დანართებთან ერთად ითვლება გაუქმებულად, აღნიშნულის თაობაზე მაძიებელს ეცნობება წერილობით.

5.5. იმ შემთხვევებში, როდესაც მიერთების საფასურის მეორე ეტაპის გამოთვლა ხდება გადამცემის ლიცენზიატის მიერ მის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით, მიერთების საფასურის საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა დანართად ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას (დანართი №2) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.6. მიერთების საფასურის საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის გადახდისას გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 -5.4 პუნქტებში განსაზღვრული ვადები და პროცედურები.

5.7. საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა მიერთების თარიღისთვის ექვემდებარება დაზუსტებას. ელექტროენერჯიის გადამცემის ლიცენზიატი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებით, მიერთების სამუშაოების დასრულებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ადგენს მიერთების საფასურის ფაქტობრივ ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენს მას მიერთების მაძიებელს.

5.8 თუ მაძიებელი ეთანხმება გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილ ფაქტობრივ ხარჯთაღრიცხვას და:

ა) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა მეტია ვიდრე საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა - მაძიებელი ვალდებულია, ხარჯთაღრიცხვის მიღებიდან 20 სამუშაო დღეში აანაზღაუროს სხვაობა;

ბ) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა ნაკლებია საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვაზე - გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, ხარჯთაღრიცხვის წარდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს მიერთების მაძიებელს ზედმეტად მიღებულ თანხა.

5.9. იმ შემთხვევაში, თუ მიერთების მაძიებელი არ ეთანხმება წარდგენილ ფაქტობრივ ხარჯთაღრიცხვას და:

ა) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა და საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა თანაბარია, მაძიებელი ვალდებულია, გადაიხადოს საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელი ნაწილი სრულად, განწილვადების შეთანხმების შესაბამისად, ხოლო ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის სადავო ნაწილის ანაზღაურება განხორციელდება აუდიტორული კომპანიის ან ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა მეტია, ვიდრე საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა - მაძიებელი ვალდებულია, გადაიხადოს საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელი ნაწილი სრულად, განწილვადების შეთანხმების შესაბამისად, ხოლო სადავო ნაწილის ანაზღაურება განხორციელდება აუდიტორული კომპანიის ან ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;

გ) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა ნაკლებია, ვიდრე საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ მაძიებელი თვლის რომ ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს უფრო მეტად შემცირებული (რასაც არ ეთანხმება გადაცემის ლიცენზიატი), გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, ხარჯთაღრიცხვის წარდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს მიერთების მაძიებელს ზედმეტად მიღებული თანხა (სხვაობა საპროგნოზო და მის მიერ წარდგენილ ფაქტობრივ ხარჯთაღრიცხვას შორის), ხოლო სადავო ნაწილის ანაზღაურება განხორციელდება აუდიტორული კომპანიის ან ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;

5.10. მიერთების საფასურის ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის ოდენობაზე დავის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან, წერილობითი შეტყობინებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში შეთანხმდნენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე აუდიტორულ კომპანიაზე.

5.11. აუდიტორულ კომპანიაზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, აღნიშნული კომპანიის დასკვნა მხარეთათვის არის შესასრულებლად სავალდებულო.

5.12. აუდიტორულ კომპანიაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოდავე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“, რომლის დასკვნა არის შესასრულებლად სავალდებულო.

5.13. შესაბამისი მხარის მოთხოვნის მართებულების დადასტურების შემთხვევაში, აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის ხარჯის ანაზღაურება ეკისრება მეორე მხარეს.

5.14. მიერთების საფასურის საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვასა და ფაქტობრივ ხარჯთაღრიცხვას შორის სხვაობის შემთხვევაში, მისი ანაზღაურების ვადა შეადგენს აუდიტორული კომპანიის ან სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის სახელმწიფო ბიუროს“ დასკვნის წარდგენიდან 20 სამუშაო დღეს. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ბრალეულ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი

თანხის 0,05 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა გაგრძელდეს ვალდებულების შესრულებამდე.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებულია ვადით.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ნებისმიერი ზეპირი შეთანხმება ამ საკითხში დაუშვებელია.

6.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება.

6.4. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დადებული მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

6.5. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) თუ ხელშეკრულების მხარე არღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, სადაც მიუთითებს, ხელშეკრულების რომელი პირობა იქნა დარღვეული და დამატებით განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას ვალდებულების შესრულებისთვის/ხარვეზის გამოსწორებისთვის. მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისთვის მის მისერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

ბ) ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედება, თუ ცხადია, რომ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება შეუძლებელია ან აზრი დაკარგა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.6. თუ საქართველოს კანონმდებლობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის მიუხედავად, თითოეულმა მხარემ უნდა შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

6.7. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაბათილება/გაუქმება არ გამოიწვევს საკუთრივ ხელშეკრულების გაბათილებას/გაუქმებას. აგრეთვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება შეიცავს ხარვეზს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რის გამოც მისი შესრულება შეუძლებელია, ან გახდა შეუძლებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ეს არ მოახდენს გავლენას სხვა დებულებების მოქმედებაზე და წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები უცვლელად რჩება ძალაში.

მუხლი 7. ელექტროენერჯის აღრიცხვა და ელექტროენერგეტიკული სისტემის რეჟიმული პარამეტრების მონაცემთა შეგროვება, მონიტორინგი და მართვა

7.1. აღრიცხვის კვანძის მოწყობა ხდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ. III დონის SCADA-ს აწყობს მადიებელი (თუ მისაერთებელი ობიექტი 10 მგვტ.-ზე მეტი ჯამური დადგმული

სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურია ან 50 მგვტ. და მეტი დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურია), II დონის SCADA-ს აწყობს გადაცემის ლიცენზიატი, ხოლო I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტს აწყობს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი (თუ მისაერთებელი ობიექტი 10 მგვტ.-ზე მეტი ჯამური დადგმული სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურია ან 50 მგვტ. და მეტი დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურია).

7.2. ელექტროენერჯის აღრიცხვისა და SCADA-ს სისტემების მოწყობა ხორციელდება ქსელის წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. მიერთების მაძიებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით დააყენოს დისპეტჩერული განაცხადების პროგრამა, რომელიც თავსებადია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან არსებულ განაცხადების პროგრამასთან და უზრუნველყოს მასთან კავშირის არხის მოწყობა თავის მხარეზე იმ მინიმალური ტექნიკური პარამეტრებით რომელიც საკმარისია პროგრამის ხარისხიანი/შეუფერხებელი მუშაობისათვის.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუსრულებლობისგან, თუ მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და შეუსრულებლობა გამოწვეულია წინასწარ გაუთვალისწინებელი და დაუძლეველი ისეთი მოვლენებით (ფორს-მაჟორული მოვლენები), როგორიცაა:

ა) აფეთქება, დივერსია, ბუნტი, სამოქალაქო ომი ან დაუმორჩილებლობა;

ბ) სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი, ხანძარი და სხვა);

გ) საომარი მოქმედებები (გამოცხადებული და გამოუცხადებელი), აჯანყება;

დ) ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსი შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.

8.2. ასეთ შემთხვევებში წინამდებარე სტანდარტული პირობების გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევის იმ პერიოდით, რომელის განმავლობაშიც მოქმედებს ფორს-მაჟორული გარემოებები;

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს მხარეების მიერ წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას, თითოეულმა მხარემ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის (აგრეთვე მისი სავარაუდო ამოწურვის) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს ერთმევა ფორს-მაჟორულ გარემოებაზე მითითებით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება. ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტის შემთხვევაში მხარემ ყველა ღონე უნდა იხმაროს სტანდარტული პირობებით გაწერილი ვალდებულებების შესრულების განახლებისათვის. ფორს-მაჟორული მდგომარეობის პირობებში მხარეებმა ასევე უნდა მიმართონ მათზე დამოკიდებულ ყოველგვარ გონივრულ ღონისძიებას მეორე მხარისათვის ასეთი გარემოების გამო მოსალოდნელი ზიანის მაქსიმალურად შემცირებისათვის;

8.4. თუ ზემოხსენებული ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება უწყვეტად 1 (ერთი) თვის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ეძლევა უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება სათანადო წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

8.5. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორის შესახებ ვალდებულია დაადასტუროს იგი, რაც გულისხმობს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს

მიერ გაცემული, ფორს-მაჟორული მოვლენის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის წარმოდგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არცერთი მოვლენა არ იქნება განხილული ფორს-მაჟორად.

მუხლი 9. შეტყობინებები

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, შენიშვნა, მოთხოვნა, თანხმობა, თხოვნა ან სხვა ტიპის კომუნიკაცია, რომელსაც ადგილი აქვს მხარეებს შორის, უნდა იქნას მიწოდებული წერილობითი ფორმით.

9.2. ყველა წერილობითი კომუნიკაცია, ან პირადად უნდა იყოს მიტანილი ან გაგზავნილი უნდა იქნას ფასიანი რეგისტრირებული ფოსტით (საჭაერო ფოსტით თუ საზღვარგარეთ იგზავნება), ფაქსით, ან ელექტრონული ფოსტით. ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კომუნიკაცია დადასტურებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ფასიანი, რეგისტრირებული ფოსტის საშუალებით წარდგენილ იქნება ორიგინალი დოკუმენტი.

9.3. ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გასაგზავნი ნებისმიერი შეტყობინება, შენიშვნა, მოთხოვნა, თანხმობა, თხოვნა ან სხვა ტიპის კომუნიკაცია უნდა გაეგზავნოს ან მიეწოდოს მხარეს გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუ სხვა რამ არ არის მხარეთა მიერ შეთანხმებული დამატებით ან გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულებით.

9.4. ნებისმიერ მხარეს სხვა მხარეთათვის შეტყობინების საფუძველზე, შეუძლია ნებისმიერი შეტყობინების, შენიშვნის, მოთხოვნის, თანხმობის, თხოვნის ან სხვა ტიპის კომუნიკაციის გასაგზავნი ან მისაღები მისამართის ან მიმღები პირის შეცვლა.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1. ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება გააფორმოს ქვეკონტრაქტი ან მოახდინოს მიერთების ხელშეკრულებითა და წანამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დელეგირება მეორე მხარის თანხმობის გარეშე. მაძიებლის მიერ ვალდებულებ(ებ)ის დელეგირება უნდა ეცნობოს მხარეებს, თუ ასეთი დელეგირება გავლენას იქონიებს მხარეთა შორის ურთიერთობაზე. ამასთან, ასეთი ქვე-კონტრაქტის გაფორმება ან ვალდებულების დელეგირება არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს მიერთების ხელშეკრულებითა და წანამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან ან პასუხისმგებლობისგან და მიუხედავად ქვე-კონტრაქტის არსებობისა ან დელეგირების ფაქტისა, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ უშუალოდ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებაზე.

10.2. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეეხება ხელშეკრულების პირობების განხორციელებას, ასევე იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა მხარეებმა შეძლონ ვითარების მნიშვნელობის

შეფასება და თავიდან იქნას აცილებული ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევის ან/და უგულებელყოფის შემთხვევები.

10.3. მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის წარმოშობის შემთხვევაში, მხარე, რომელიც ითხოვს დავის გადაწყვეტას, ვალდებულია მიაწოდოს მხარეებს შეტყობინება დავისა და მოთხოვნის არსის შესახებ.

10.4. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას ან საერთო სასამართლოს სადავო საკითხის განხილვის მოთხოვნით.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

11.1. ნებისმიერი ტიპის ოფიციალური კომუნიკაცია მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული მხარეთა შორის გაფორმებულ მიერთების ხელშეკრულებაში.

11.2. ხელშეკრულება ფორმდება 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ხელშეკრულების ასლი ეგზავნება კომისიას.

დანართი № 1

მიერთების ტექნიკური პირობა

დანართი № 2

მიერთების მეორე ეტაპის საფასური ან მიერთების მეორე ეტაპის საფასურის საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა

დანართი № 3

ტექნიკური პროექტი

დანართი №4

სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი